წერილის ნომერი: **30-302506911**
თარიღი: **10/03/2025**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს. ამ პროფილის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით ჩამოყალიბების ძირითადი მიზანია მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შიდა სამგზავრო ტრანსპორტის ერთი სამეწარმეო იურიდიული პირის მმართველობაში გაერთიანება. იურიდიული პირის მიზნებად განსაზღვრული გვაქვს შემდეგი ამოცანები:

ა) რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში (M_3 კატეგორიის ავტობუსებით) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა.

ბ) სათანადო ნებართვის საფუძველზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელება.

გ) მგზავრთა უსაფრთხო მომსახურების უზრუნველყოფა.

დ) მგზავრთა ნაკადების ოპერატიული მართვა, ორგანიზება, აღრიცხვა და კონტროლი.

ე) მგზავრთა ნაკადების პროგნოზების შედგენა და აღნიშნულზე დაყრდნობით მგზავრთა გადაყვანის გრაფიკის შემუშავება, მისი შემდგომი შესრულება და შესრულების კონტროლი.

ვ) მგზავრობის საფასურის მოკრება, მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემის მოწყობა, მათ შორის, შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლეთათვის აღნიშნულის უზრუნველყოფა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ზ) სამარშრუტო სქემის დახვეწასა და განვითარებაზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩებზე, მოედნებზე, მაგისტრალებზე, სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის ორგანიზაციის გასაუმჯობესებელი ღონისძიებათა შემუშავება და დამფუძნებლისთვის შესაბამისი წინადადების მომზადება;

თ) სხვა საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და ცენტრის საქმიანობის მიზნებს.

როგორც მოგეხსენებათ, აღნიშნული ფუნქციები, დროებით დაკისრებული ჰქონდა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს. მაგრამ მას შემდეგ რაც მუნიციპალიტეტმა შეიძინა სამგზავრო ავტობუსები, მართებულია ზემოთდასახალებული ფუნქციების განხორციელების მიზნით იურიდიული პირი შიქმნას შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმით, რაც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შესაბამისად, საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში შესაბამისი ცვლილება განხორციელდება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის წესდებაშიც.

იურიდიული პირის საქმიანობისათვის ფინანსური რესურსები გათვალლისწინებულია მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში. საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სარეგისტრაციოდ წარდგენა დაგეგმილი გვაქვს 2025 წლის 1 აპრილიდან.

თქვენთვის ცნობილია ასევე რომ საკრებულოს მიერ დამტკიცებულია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის N 9 დადგენილება, რომელიც შეეხება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს და ახალი იურიდიული პირის დაფუძნების შემთხვევაში, აღნიშნული დადგენილებაც საჭიროებს ცვლილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ ინიცირებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის NN9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც შეტანილია საკრებულოს ბიუროს 18 მარტის სხდომის დღის წესრიგის პროექტში, დაკორექტირდა და წარმოდგენილია ახალი რედაქციით.

ასევე დაკორექტირდა ჩვენს მიერ ინიცირებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, შენახვის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ის შესაბამისობაშია ახალი იურიდიული პირის ფუნქციებთან.

გთხოვთ ახლად წარმოდგენილ პროექტებთან ერთად განიხილოთ ჩვენს მიერ უკვე ინიცირებული ზემოთ დასახელებული პროექტების კორექტირებული ვერსიები.

საკითხის განხილვა მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, შოთა ჩაგუნავას კანდიდატურას.

გთხოვთ, თქვენს თანხმობას.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური

2800, ქ.ლანჩხუთი, კოსტავას ქ.37, ელ.ფოსტა: Lanchkhuti@yahoo.com

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება N

2025 წლის მარტი
ქ. ლანჩხუთი

შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ დაფუძნება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზესიკ ტაბიძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №...

2025 წლის .....

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, შენახვის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 209^3- მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილების, 239-ე მუხლის 27-ე ნაწილის, 240-ე და 240^1-ე მუხლების, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დაადგინა:

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, შენახვის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დამტკიცდეს უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმა, დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3. დამტკიცდეს ახსნა-განმარტების ფორმა, დანართი №3-ის შესაბამისად.

მუხლი 4. დამტკიცდეს უბილეთო მგზავრობისათვის შედგენილი ელექტრონული საჯარიმო ქვითრის აღრიცხვა-ანგარიშგების ჟურნალის ფორმა, დანართი №4-ის შესაბამისად.

მუხლი 5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შინაარსის,

შედგენის, გამოყენების, შენახვის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა უფლებამოსილება მიენიჭოს შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიას“.

მუხლი 6. დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 აპრილიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

დანართი №1

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, შენახვის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესი

მუხლი 1. რეგულირების საგანი

წინამდებარე წესი განსაზღვრავს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, შენახვის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას ადმინისტრაციული სახდელის დადების, საურავის დარიცხვისა და გასაჩივრების სამართლებრივ მექანიზმებს.

მუხლი 2. უბილეთო მგზავრად მიჩნევის პირობები

1. მგზავრი, (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით (შემდგომ – ავტობუსი) მგზავრობისას ვალდებულია მგზავრობის დაწყებისთანავე შეიძინოს ბილეთი, ან ელექტრონული გადახდის საშუალებით გადაიხადოს მგზავრობის ტარიფით განსაზღვრული თანხა, შეინახოს ბილეთი მგზავრობის დამთავრებამდე და შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ უფლებამოსილ თანამშრომელს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ბილეთი ან ელექტრონული გადახდის საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი უბილეთო მგზავრად მიიჩნევა და მის მიმართ საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“

130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შედგება ელექტრონული საჯარიმო ქვითარი.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის №9 დადგენილებით განსაზღვრული შეღავათიანი ტარიფით მგზავრობის უფლების მქონე პირი ვალდებულია, შეღავათიანი ტარიფით მგზავრობის ელექტრონული გადახდის საშუალებით (შეღავათიანი ტარიფით მგზავრობის პლასტიკური ბარათი) ავტობუსში დამონტაჟებულ ელექტრონული გადახდის სპეციალურ მოწყობილობაზე დააფიქსიროს მგზავრობა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უბილეთო მგზავრად მიიჩნევა და მის მიმართ საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შედგება ელექტრონული საჯარიმო ქვითარი.

მუხლი 3. უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული ქვითრის შედგენაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის უფლებები და მოვალეობები

1. უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი არის შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ (შემდეგომ – სამართალსუბიექტი) უფლებამოსილი თანამშრომელი (შემდგომ – თანამშრომელი).

2. სამართალსუბიექტის ხელმძღვანელი, ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე, უფლებამოსილ თანამშრომელს განსაზღვრავს ბრძანებით.

3. სამართალსუბიექტი უფლებამოსილია, თანამშრომელი აღჭურვოს შესაბამისი ელექტრონული მოწყობილობით (ვიდეოჩამწერ მოწყობილობასთან ერთად), რომლის საშუალებით ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას თანამშრომელი დააფიქსირებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის პროცესს. ელექტრონული მოწყობილობით დაფიქსირებული ინფორმაცია (პერსონალური მონაცემები) დაცული უნდა იქნეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. თანამშრომელი უფლებამოსილია მგზავრს სამგზავრო ბილეთის ან ელექტრონული გადახდის საშუალების წარდგენა მოთხოვოს ავტობუსში ან/და ავტობუსიდან ჩამოსვლისას, რაც შეიძლება დააფიქსიროს ელექტრონული მოწყობილობით და ამის თაობაზე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მგზავრს.

5. თუ მგზავრმა თანამშრომელს მოთხოვნისთანავე ვერ წარუდგინა სამგზავრო ბილეთი ან/და ელექტრონული გადახდის საშუალების სპეციალურ მოწყობილობაზე გადამოწმებით არ დადასტურდა მგზავრობის ტარიფით განსაზღვრული თანხის გადახდა და მგზავრს აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები, ან საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 256-ე მუხლის თანახმად არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ მის შესახებ საჭირო ცნობები ან/და არსებობს

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში იდენტიფიცირების შესაძლებლობა, მაშინ თანამშრომელს შეუძლია ჩათვალოს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ საჭიროებს დამატებით გამოკვლევას და საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უფლებამოსილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი ჩამოიყვანოს ავტობუსის გაჩერებაზე და შეუდგინოს მას ელექტრონული საჯარიმო ქვითარი, რაც შეიძლება დააფიქსიროს ელექტრონული მოწყობილობით. ამის თაობაზე თანამშრომელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

6. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე საქმისწარმოების დროს არა აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ ან/და არ არსებობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში იდენტიფიცირების შესაძლებლობა, მაშინ, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 243-ე მუხლის მე-22 ნაწილის შესაბამისად, ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის თანამშრომელმა შეიძლება მიიღოს ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის პოლიციაში მიყვანის შესახებ გადაწყვეტილება, რა მიზნითაც ის მიმართავს უფლებამოსილ ორგანოს/პირს. სამართალდამრღვევის პოლიციაში მიყვანა ხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს დახმარებით. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის პირადი მონაცემების დადგენის შემდეგ, თანამშრომელი ავსებს ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს. აღნიშნული პროცესი თანამშრომელმა შეიძლება დააფიქსიროს ელექტრონული მოწყობილობით და ამის თაობაზე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

7. თანამშრომელმა ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შევსებისას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს უნდა განუმარტოს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 2341-ე, 252-ე და 273-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები:

ა) საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 273-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს უფლება აქვს, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 234^1 მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება გაასაჩივროს მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“

დირექტორთან (მისამართი: ლანჩხუთი, ეგნატე ნინოშვილის №37), რომლის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის №26).

ბ) საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 252-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს უფლება აქვს, გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო მიღებული დადგენილება;

გ) თანამშრომელმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს უნდა განუმარტოს, რომ ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ამონაბეჭდის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღის ვადის გასვლის შემდეგ დაერიცხება საურავი, ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში, ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება.

8. საჯარიმო ქვითრის შევსება ხდება ელექტრონულად და მისი ამონაბეჭდი ბარდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

9. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ამონაბეჭდს ხელს აწერს მისი შემდგენელი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი და თუ არიან მოწმეები, ან სხვა მონაწილე პირები.

10. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი უარს აცხადებს ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ჩაბარებაზე, თანამშრომელმა მას უნდა მიუთითოს შეავსოს ახსნა-განმარტების ფორმა (დანართი №3), სადაც წარმოდგენილი იქნება ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ამონაბეჭდის ჩაბარებაზე უარის თქმის ახსნა-განმარტებები და მოტივები.

11. შევსებული ახსნა-განმარტების ფორმაზე ხელს აწერს ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შემდგენელი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი და თარჯიმანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

12. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი უარს აცხადებს ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ამონაბეჭდის ჩაბარებაზე, თანამშრომელი ამას აღნიშნავს ელექტრონულ საჯარიმო ქვითარში, რის შემდეგაც ელექტრონული საჯარიმო ქვითარი ითვლება ჩაბარებულად.

13. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში, ივსება ახალი, ხოლო არასწორად ამობეჭდილი საჯარიმო ქვითარი გადაიხაზება ჯვარედინად, რომელსაც თანამშრომელი მოხსენებითი ბარათით, გაუქმების მიზეზების მითითებით, აბარებს სამართალსუბიექტის უფლებამოსილ პირს, რომელიც აისახება ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.

14. სამართალსუბიექტი, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენიდან 10 დღის ვადაში, ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

მუხლი 4. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შინაარსი და მისი შევსების წესი

1. ელექტრონული საჯარიმო ქვითარი წარმოადგენს საჯარიმო ქვითრის ფორმას, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

2. ელექტრონული საჯარიმო ქვითარი არ არის მკაცრი აღრიცხვის ფორმა.

3. ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს ავსებს თანამშრომელი ელექტრონულად და იგი ფიქსირდება სამართალსუბიექტის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.

4. ელექტრონულ საჯარიმო ქვითარსა და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალურ საჯარიმო ქვითარს. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შევსებისას შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა. ელექტრონულად დაფიქსირებული პერსონალური მონაცემები დაცული უნდა იქნეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ელექტრონულ საჯარიმო ქვითარში უნდა აისახოს შემდეგი მონაცემები (დანართი №2):

ა) ქვითრის შედგენის თარიღი;

ბ) შემდგენლის სახელი და გვარი, თანამდებობა;

გ) სამართალდამრღვევის პირადი №, სახელი და გვარი, რეგისტრაციის ადგილის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი;

დ) სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი და დრო, ავტობუსის მარშრუტის დასახელება , ავტობუსის სახელმწიფო №, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსი;

ე) პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრულია საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით;

ვ) ჯარიმის ოდენობა 20 (ოცი) ლარი;

ზ) საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი 300643255;

თ) მოწმე ან სხვა მონაწილე, სტატუსი, ხელმოწერა;

ი) სამართალდამრღვევის ხელმოწერა ქვითრის ჩაბარებაზე, ხელმოწერაზე ან ქვითრის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა;

კ) შემდგენლის ხელმოწერა;

ლ) ელექტრონული საჯარიმო ქვითარზე დატანილია შემდეგი ტექსტი:

ლ.ა) ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები; ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს; მისცეს ახსნა-განმარტებანი; წარადგინოს მტკიცებულებანი; განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე საქმისწარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.

ლ.ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირს მიეცა განმარტება, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 273-ე მუხლის მიხედვით მას უფლება აქვს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივროს შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ დირექტორთან (მისამართი: ქ.ლანჩხუთი, ეგნატე ნინოშვილის №37), რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26).

ლ.გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირს მიეცა განმარტება, რომ ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის აღრიცხვის ჟურნალი

1. სამართალსუბიექტი, უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ შედგენილი ელექტრონული საჯარიმო ქვითრის აღრიცხვა-ანგარიშგებისათვის აწარმოებს ელექტრონული საჯარიმო ქვითრის აღრიცხვის ჟურნალს (შემდგომ – ჟურნალი) (დანართი №4);

2. სამართალსუბიექტის დირექტორი, ბრძანებით განსაზღვრავს ჟურნალის წარმოებაზე პასუხისმგებელ თანამშრომელს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჟურნალი იხსნება ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში.

4. ჟურნალის ფურცლები ინომრება რიგითობის მიხედვით. ჟურნალის გარეკანი და ფურცლები უნდა იქნეს ზონარგაყრილი. ამასთან, ზონრის კვანძზე ეკვრება ეტიკეტი, რომელიც მოწმდება სამართალსუბიექტის დირექტორის ხელმოწერით და სამართალსუბიექტის ბეჭდით.

5. ჟურნალში ყველა ჩანაწერი კეთდება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით.

6. ჟურნალში არ დაიშვება ჩანაწერის გადაფხეკა, ჩასწორება ან ადრე გაკეთებული ჩანაწერების ჩასწორება და მოშორება კორექტორის დახმარებით. აუცილებლობის შემთხვევაში უზუსტო ჩანაწერი გადაიხაზება ერთი ხაზით ისე, რომ ნათლად ჩანდეს ადრე დაწერილი ტექსტი, ახალი ჩანაწერი კეთდება ჟურნალის იმავე გრაფაში, ხოლო გრაფაში „შენიშვნა“ ჟურნალის მწარმოებელი პასუხისმგებელი პირი აკეთებს შესაბამის ჩანაწერს (მაგალითად: შესწორებულია მე-2 და მე-10 გრაფები, თარიღი, ხელმოწერა, სახელი და გვარი).

7. იმ შემთხვევაში, თუ კალენდარული წლის განმავლობაში წარმოებული საქმეების რეგისტრაციისათვის ერთი ჟურნალი აღმოჩნდება არასაკმარისი, იხსნება ახალი ჟურნალი, რომელიც წარმოადგენს პირველის გაგრძელებას.

8. კალენდარული წლის ბოლოს, ჟურნალში ყველა ელექტრონული საჯარიმო ქვითრის რეგისტრაციის შემდეგ, პასუხისმგებელი სამართალსუბიექტის ხელმძღვანელი აკეთებს ჩანაწერს რეგისტრირებული საქმეების საერთო რაოდენობის შესახებ.

9. ჟურნალი ინახება მის წარმოებაზე პასუხისმგებელ შესაბამის სამართალსუბიექტთან, რომელიც შემდგომში, მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, გადაეცემა არქივს.

10. ჟურნალის შენახვის პირობები უნდა უზრუნველყოფდეს მის დაცულობას.

11. ჟურნალი წარმოადგენს შიდა გამოყენების დოკუმენტს და იგი (ან მასში შეტანილი მონაცემები) არ შეიძლება გაიცეს მესამე პირებზე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 6. ჯარიმის გადახდა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ამონაბეჭდის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 290-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 7. საურავის დარიცხვა

1. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ამონაბეჭდის ჩაბარების თარიღიდან 30 კალენდარულ დღეში დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს, ამ ვადის გასვლის შემდეგ,

სამართალსუბიექტიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამართალსუბიექტი იღებს დადგენილებას საურავის დარიცხვის შესახებ.

მუხლი 8. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების გასაჩივრება

1. პირს, ვის მიმართაც არის გამოტანილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ დადგენილება, მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლია იგი გაასაჩივროს სამართალსუბიექტის - შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ დირექტორთან, რომლის გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენმა პირმა შეიძლება გაასაჩივროს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში.

2. პირს, ვის მიმართაც არის გამოტანილი საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილება, მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, შეიძლება იგი გაასაჩივროს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში.

3. საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 275-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დადგენილ ვადაში საჩივრის შეტანა მის განხილვამდე შეაჩერებს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ ამავე კოდექსის 234^1 მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

4. საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 288^3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საურავის დარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების დროს გადაწყვეტილება აღსრულდება საჩივრის დაუკმაყოფილებლად დატოვების შემდეგ.

მუხლი 9. ვადის ათვლა

ამ წესით განსაზღვრული ვადების ათვლისას გამოიყენება საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 94-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“ მე-60 მუხლის მე-2 ნაწილისა და 61-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მოთხოვნები.

დანართი №2

უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითარი N (ფორმა) .

შედგენის თარიღი: _____

2. შემდგენლის სახელი და გვარი, თანამდებობა: _____ 3. სამართალდამრღვევის პირადი №_____ სახელი და გვარი:_____ რეგისტრაციის ადგილის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი: _____

4. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი: _____ და დრო: _____ ავტობუსის მარშრუტის დასახელება ავტობუსის სახელმწიფო № _____ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსი: _____

5. პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

6. ჯარიმის ოდენობა: 20 (ოცი) ლარი.

7. საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300643255

8. მოწმე ან სხვა მონაწილე: _____

სტატუსი, ხელმოწერა: _____

9. სამართალდამრღვევის ხელმოწერა ქვითრის ჩაბარებაზე: _____ ხელმოწერაზე ან ქვითრის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა: _____
10. შემდგენლის ხელმოწერა: _____

11.ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე საქმისწარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.

12.ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირს მიეცა განმარტება, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით მას უფლება აქვს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივროს შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ დირექტორთან (მისამართი: ქ.ლანჩხუთი, ეგნატე ნინოშვილის

№37), აღნიშნული გადაწყვეტილება საჩივრდება - ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26).

13. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირს მიეცა განმარტება, რომ ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი №3

ახსნა-განმარტება (ფორმა)

1. მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირის შესახებ:

ა) სახელი და გვარი _____

ბ) პირადი № _____

გ) მისამართი _____
(რეგისტრაციის ადგილის, ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)

დ) დაბადების თარიღი _____

ე) სამუშაო ადგილი _____

2. მონაცემები ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შესახებ:

ა) ელექტრონული ქვითრის № _____

ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ადგილი, თარიღი, დრო და არსი _____
_____

3. ახსნა-განმარტების ან/და შენიშვნის შინაარსი _____
_____

4.ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ხელმოწერა _____ რიცხვი, თვე, წელი _____ თარჯმინის (ასეთის არსებობისას) ხელმოწერა _____ რიცხვი, თვე, წელი _____ ახნა-განმარტების მიმღები თანამშრომლის ხელმოწერა _____ რიცხვი, თვე, წელი _____

დანართი №4

უბილეთო მგზავრობისათვის შედგენილი ელექტრონული საჯარიმო ქვითრის აღრიცხვა-ანგარიშგების ჟურნალის ფორმა

ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენის თარიღი, დრო და ადგილი	ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი	ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შემდგენლის სახელი და გვარი	ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შემდგენლის ხელმოწერა	ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ჟურნალის წარმოებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლის ხელმოწერა	შენიშვნა: ჩანაწერი ელექტრონული საჯარიმო ქვითრის გაუქმების შესახებ და სხვა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება №
2025 წლის მარტი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის NN9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და ,,სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის N 9 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 26/06/2024 წელი, სარეგისტრაციო კოდი **010250050.35.112.016542**) შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრასპორტო საშუალებების მარშუტებზე მგზავრობის ტარიფის გადახდის სისტემას ნერგავს და ამ დადგენილებით განსაზღვრული მგზავრობის საფასურის მოკრებას ახორციელებს უფლებამოსილი სუბიექტი – შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია“ გადახდის სისტემის მოწყობის ფარგლებში. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს სამგზავრო პლასტიკური ბარათების დამზადებასა და გაცემას.“

ბ) დადგენილების მე-4 მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4.

5. შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია“ მოთხოვნის საფუძველზე, მოთხოვნის მიღებისთანავე (მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა) უზრუნველყოფს ბარათის დაბლოკვას.

6. ამ დადგენილების მე-2 მუხლით განსაზღვრული შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე პირებზე სამგზავრო პლასტიკური ბარათის გაცემა/აღდგენა ხორციელდება მათ მიერ შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიისთვის“ მიმართვის საფუძველზე.

7. ამ დადგენილების მე-2 მუხლით განსაზღვრული შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით სარგებლობის მიზნით გასაცემი სამგზავრო პერსონიფიცირებული პლასტიკური ბარათის მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.“

გ) დადგენილების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 5.** ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული ტარიფები ჩაირიცხოს შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია“-ს საბანკო ანგარიშზე. მიღებული შემოსავალი მოხმარდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების უზრუნველყოფას.“

დ) დადგენილების მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 6.** „შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიამ“ ექვს თვეში ერთჯერ უზრუნველყოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისათვის ინფორმაციის მიწოდება ფაქტობრივად გადაყვანილ (მათ შორის, შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე) მგზავრთა რაოდენობისა და შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ საბანკო ანგარიშზე მგაზვრობის საფასურიდან შემოსული თანხების შესახებ.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 აპრილიდან.